ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 50 (20091) ᲙᲕᲘᲠᲐ, 28 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1988 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

„ᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲐ. ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲛᲔᲓᲐᲛ ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐ, ᲗᲣᲙᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲘᲡᲐᲮᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲔᲣᲚᲝᲚᲔᲡᲐ. ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲜᲘ ᲕᲘᲪᲘ ᲐᲙᲐᲪᲘᲝᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒ ᲗᲔᲗᲐᲠᲘ, ᲡᲐᲮᲘᲚᲝᲑᲐ, ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲜᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲧᲔᲠᲕᲐᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲘᲪᲧᲕᲐᲜᲐ“.

ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲐ ᲙᲚᲣᲩᲘᲠᲘ,
ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ.

□ □

„ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲔᲗᲕᲘ ᲐᲠ ᲛᲔᲣᲐᲠᲠᲔᲑᲐ ᲘᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲮᲘᲙᲐᲕᲐᲫᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲐᲡᲬᲐᲒᲐᲚᲘ ᲐᲙᲐᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲛᲔᲠᲛᲘ. ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲛᲔᲠᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲗᲣ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲐᲛᲐᲠᲗᲘᲜᲐᲠᲘ ᲙᲐᲚᲘᲡ, ᲛᲐᲙᲘᲐᲕᲔᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲐ. ᲛᲝᲜᲗᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲐ ᲘᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲘ. ᲠᲘᲩᲐᲠᲓ III-ᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲐᲛᲐᲠᲗᲘᲜᲐᲠᲘ ᲙᲐᲚᲘᲡ, ᲛᲐᲙᲘᲐᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲐ ᲘᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲘ. ᲛᲝᲜᲗᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲐ ᲘᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲘᲡᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲡ“.

ᲯᲝᲜ ᲑᲐᲠᲑᲔᲠᲘ,
„ᲓᲘᲚᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ“, ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 1980 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ.

□ □

„ᲠᲐᲛᲐᲖᲗ ᲩᲮᲘᲙᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲔᲫᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲒᲘᲡᲐᲛᲬᲘᲡᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲐᲠᲗᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ — ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲪᲘᲠᲣᲚᲘᲡᲗ!“

ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲐ ᲞᲐᲞᲐᲢᲐᲜᲐᲚᲘᲣ,
(ᲩᲐᲑᲔᲠᲫᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ).

□ □

„ᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘᲐ ᲘᲡ ᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲧᲔᲠᲕᲐᲚᲐᲛᲓᲔ“.

 Д. ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲡᲝᲜ,
(ᲩᲐᲑᲔᲠᲫᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲡᲙᲙᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

26 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ სკკ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა იდეოლოგიური უწყებების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა იდეოლოგიური მუშაობის ამოცანებს სკკ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილებებს, სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვას — „რევოლუციურ გარდაქმნას — განახლების იდეოლოგია“ — მიხედვით.

თათბირის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ გარდაქმნის ახალი ეტაპის დადგომა აყენებს ბევრ ახალ საკითხს, წარმოშობს უჩვეულო სიტუაციებს და მოითხოვს გადაწყვეტილებათა ერთ-ერთ ერთ-ერთ მეტ-ნაკლებ ... ...

ლხინიც ერთი აქვთ და გასაჭირიც

ჩვენი ქვეყნის სანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბდა ყველაზეტერი საუკეთესო, რაც ჩვენს ხალხს აქვს და რასაც ყოველი თაობა თვალსაჩინოთით უფრთხილდება და დახვეწილ, გასაბეკეტებულ და გაუჭოვნებელ ყველაფერს მომავალ ფაფას.

ასე ჩამოყალიბდა ჩვენი ხალხის განმეორებული სტუმართმოყვარეობა, მეგობრობის მაღალი გრძნობა, მეზობლის პატივისცემა და მისი ჭირ-ვარამის გაზიარება, ანუ ის უკეთილშობილესი გრძნობა, უფრო მოგვიანებით ინტერნაციონალური სულისკვეთება რომ უწოდეს.

აქ, საქართველოში, ერთი კაცი მეორეს სიკეთეს უკეთებს და თავის სიამოვნებას ამაში ხედავს,— ასე დაიწყო საუბარი ამბავი ალაზოვმა. ვუსმენდი და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს დიდი ხნის დაგროვილი სათქმელი აქვსდა, ახლა საშუალება მიეცა და ცდილობდა არ გამორჩენოდა არაფერი. — მე და მარგარიტა გიგაური, რომელიც ჩვენი სასოფლო კლუბის გამგეა, თითქმის თანატოლები ვართ, დიდი ხანია დაფეგობრდით. აკუნდან მოყოლებული, თავის შვილს გაგრძელებს ემამს მოძმის მხარში დგომას და მისი ჭირის გაზიარებას შთაგონებდა. აი, ასეთი ადამიანების გარემოში გაიზარდა ჩემი თემერიც, რომელმაც ქართულად აიღება ენა, წელს კი უკვე თამარისის ქართულ საშუალო სკოლას ამთავრებს.

ასე მეგობრულად ცხოვრობენ ყველანი ამ მაღლივან ქართულ სოფელში, თამარისში, რომელსაც ეწინ თურმე ტრაუბნბერგი ერქვა, რაც გერმანულად ყურძნის გორას ნიშნავს. შემოდგომაზე, მართლაც რომ, ყურძნის გორები დგას ხოლმე აქ. ვენახი თავისთავად, მაგრამ ვერც ერთ ეზოს ვერ ნახავთ სოფელში, უზარმაზარი თალარი რომ არ აშშვენებდეს. ასეე უნდა იყოს. ადგილობრივი მცხოვრენი თუ არ მოამრავა, აბე რაღა სანერგე საბეოთა მეურნეობაა! სუფრის ყურძენი, სამამაესარე პინო, უნიკალური რქაწითელი, ალაგოტე, თავრიში — ვინ მოთვლის, რა ჯიშის ნერგი არ გამოპყავთ თამარისელებს.

ქართველები, რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები — რა ეროვნების ადამიანები არ ცხოვრობენ და შრომობენ ამ მეურნეობაში. 5 ბრიგადიდან 3 ინტერნაციონალურია, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა ლევან ბარათაშვილმა.

„ვანსაკუთრებით შრომისმოყვარეობით და ერთმანეთის სიყვარულით გამოირჩევიან № 2 ბრიგადის წევრები, რომელსაც ვალიკო აბრამიშვილი უდგას სათავეში.

მუსლიუნრულად შრომობენ ქართველები იულია და ბენო გოგიტაშვილები, აზერბაიჯანელები მაზეიმი და ეფო ალაზოვები, სომხები ლუსიკა გალუსტოვა და მაგვალა პოლოსოვა. თითქმის ყველამ იცის ერთმანეთის ენა, ზოგჯერ ნამდვილი ფოლკლორის ზეიმი გეგონებათ, სხვადასხვა ერის სიმღერებს რომ აგუგუნებენ.

396 კომლი ცხოვრობს თამარისში, — გვითხრა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გიზო ნადირაძემ და სიამაყით გახედა ლარიეთი გაგბიულ, გაფერიალებულ ეროვნულ ეროვნულ ბაირაღებს, რომლებიც სიგანით აუცილებლად მიიპყრობს თქვენს ყურადღებას. ალბათ, ამიტომაც ისმალოვა ერთმანეთს ეჯიბრებიდნენ შრომაში და სულ. მალე თამარისს კიდევ ერთი კოპწია სახლი შეემატა, სადაც ალაზოვებმა დაიდეს ბინა.

ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება!...

„უკვე კარგა ხანია ერთ შესანიშნავ და სასარგებლო წამოწყებას დაედო საფუძველი — ტრადიციად იქცა სამი რესპუბლიკის მეზობელი რაიონების — მარნეულის, ყაზახისა და ნოემბერიანის მშრომელთა ერმანეთის სოფელ ორჯონიკიძის მომღერალთა გუნდი და თამარისის თვითმოქმედი სიმღერის ანსამბლი „თამარელა“.

ქართულს სომხური სიმღერა ცვლიდა, სომხურს — აზერბაიჯანული. მასპინძლები დიდხანს არ უშვებდნენ სტენიან მზეკაცი გიგაურს, რომელმაც ქართული ცეკვის შემდეგ ჯერ აზერბაიჯანული, შემდეგ სომხური ეცკვა შეასრულა. ასევე მომხიბლავად უკრავდა ფანდურს და ქართულ სიმღერას მღეროდა თამარისელი საიხა ალაზოვა.

— ამიერკავკასიის მომე ხალხების ფოლკლორის დღესასწაულმა, რომელიც ყაზახში გაიმართა, — გვითხრა პარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა ქ. მამედოვმა,—კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ლენინური ეროვნული პოლიტიკა ფართო გზას უხსნის ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ეროვნული ხელოვნებისა და კულტურის უმაღლეთო წინსვლა-აყვავებას, რომ ჩვენს დროსი დიდი გაქანება პოვა და აღორძინდა ერთა სულიერი ხასრდი, ახლებურად გაშუქდა ღირებულებანი.

ბრძენს უთქვამს:

— თუ ცხოვრებას ადამიანთა შორის კეთილ განწყობილებას და სიყვარულს მოაშორებთ, იგი ყველაზე უფრო სასიამოვნო რამისაგან დაიცლებაო, და მართლაც, მეგობრობის საფუძველია ხომ ზნეობრივი ადამიანებს შორის დამყარებული კეთილი განწყობილება და სიყვარულია. ჩვენი ხალხები ძნელებედობის ჟამს ერთმანეთის მხარდამხარ დგომამ დაამტკიცა, მაგრამ მეგობრობა გამოაწრა, თან შეადელა, ერთი ბანაკი ორ ბანაკად. „ერთ ძმით ძმის არის ძლიერი, აღრევე იცოდნენ თამარისელებმა, მაგრამ დღეს ერთმანეთის თანადგომა სულიერ ერთობოსნელებად იქცა, საერთო ინტერესებს გადაეჭდო და გამრავალფეროვნდა.

150 სვანის ოჯახი უნდა დასახლდეს თამარისში, მათთვის სახლების ასაშენებლად ნაკვეთებიც გამოიყო. ან, მაშინ ერთმანეთს არ აღელდნენ ქართველები და აზერბაიჯანელები, სომხები და რუსები, საუკეთესო ნაკვეთებს სთავაზობდნენ, ეხმარებოდნენ დაზარალებულებს.

ხშირად იხსენებენ ამ ფაქტს მარნეულში და თავი მოსწონთ— ასეთი ურთიერთობა ცხოვრებას ხალისსა და შინაარსს მატებს, უამისოდ ჩვენ წინაშე დასახული დიდი ამოცანების გადაწყვეტაც გაძნელდებოდა და ყოველდღიური ცხოვრებაც უფრესად გახდებოდაო, — ამბობს პარტიის მარნეულის რაიკომის მეორე მდივანი ვ. თოფუურიძე. მართლაც, ხალხთა მეგობრობამ გააადვილა აღმშენებლობითი ძალა და უნარი.

აი, ეს იყიის მეგობრობამ, რომელზეც თამარისში ასე ცოტას ლაპარაკობენ, მაგრამ რომელიც ყოველი მხრიდან გარს არტყია დალოცვილ სოფელს, როგორც საქართველოს გამჭვირვალე პაერი.

მ. ანასაშვილი.

ულსოფელი

საქალაქო იუწყება

27 თებერვალი

კეთილი ნების მაგალითი

„რუდე პრავო“ საბჭოთა რაკეტების გამოყენების შესახებ

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის გაზეთები პირველ გვერდზე აქვეყნებენ რეპორტაჟებს ჩეხოსლოვაკიიდან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან საბჭოთა რაკეტების გამოყენების დაწყების შესახებ. „რუდე პრავო“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების გამოყენა საშუალო და ნაკლები საშორის რაკეტების მოსაპობის შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე საბჭოთა კავშირის კეთილი ნების დამადასტურებელი მაგალითია.

დასავლეთმა საპასუხო ნაბიჯი უნდა გადადგას, წერს გაზეთი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, შეეძლო თავისი წვლილი შეეტანა ხელშეკრულების განხორციელებაში მის რატიფიკაციამდე და მოესპო ბუნდოვანის კუთვნილი „პერშინგ-1ა“ რაკეტები, რომლებიც ამერიკული ბირთვული ქობინებით არის აღჭურვილი. დრო მოითხოვს საბერმწიფოებმა ყველაფერი იღონონ, რათა საუკუნის მიწურულამდე კაცობრიობამ აღკვეთოს ბირთვული საფრთხე, დასძენს „რუდე პრავო“.

მეგობრობის კანონით



კუბის რესპუბლიკაში მრავალი საბჭოთა სპეციალისტი შრომობს, რომლებიც თავიანთ ცოდნასა და მეგობრობას დაუშურებლად უზიარებენ კუბელ კოლეგებს, თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ ახალგაზრდა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ განვითარებაში.

სურათზე: ჰავანის ელექტრონული აპარატურის მწარმოებელი საწარმოს ხაამჭრობლი: გიორგიანება „ელექტრონის“ უფროსი ინჟინერ-ტექნოლოგი ლევოველი იური მარტანი (მარჯვნივ), საწარმოს მთავარი ინჟინერი რიკარდო კალანი და თანამშრომელი ოდალის ბარბანი.

საკლესის ფოტო.

ამერიკა ეარჩევნების წინ

ლიდერობს ჯორჯ ბუში

ნიუ-იორკი. ვიცე-პრეზიდენტი ჯორჯ ბუში დიდი უპირატესობით ლიდერობს ტესტის შემაჯამებელ პარტიულ პოსტზე კანდიდატობის რესპუბლიკელ პრეტენდენტთა შორის. ბრძოლა მიმდინარეობს პარტიის ეროვნული ყრილობის III დელეგატის ხმისათვის.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემებით, რომელიც გაზეთმა „ჰიუსტონ ქრონიკლმა“ მოაწყო, ბუშს მხარი დაუჭირა 8 მარტს დანიშნული პარტიული აქტივისტების კრებების პოტენციურ მონაწილეთა 60-მა პროცენტმა. მის მთავარ მეტოქეს თეთრი სახლისათვის ბრძოლაში სენატორ რობერტ დოულს მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა მხოლოდ 15-მა პროცენტმა.

გამოკითხვის თანახმად, ბევრად ბუნდოვანია სიტუაცია დემოკრატ პრეტენდენტთა ბანაკში, რომელშაც ბრძოლა მოიწევეთ პარტიის ეროვნული ყრილობის 183 ელეგატის ხმისათვის. ზანგმა პილიტიკურმა მოღვაწემ ჯესი ჯექსონმა და მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორმა მაიკლ დუკაკისმა შესაბამისად მოაგროვეს პარტიული აქტივისტთა ხმების 19 და 18 პროცენტი. ამთ ოდნავ ჩამორჩენიან კონგრესმენი რიჩარდ გეპჰარდი და სენატორი ალბერტ გორი.

ყურადღებას იქცევს ის, რომ ტესტში შეიჭრნეკა საარჩევნო კამპანიის წინა ეტაპებით ცხობილი სურათი. დემოკრატ ამომრჩეველთა 24 პროცენტს და რესპუბლიკელ ამომრჩეველთა 14 პროცენტს ჯერ კიდევ არა აქვთ გადაწყვეტილი, თუ ვის მისცემენ ხმას.

პრეზიდენტმა უარი თქვა

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რეგანმა უარი თქვა კემპ-დევიდის ჭალაგარეთა რეზიდენციაში წასვლაზე, სადაც იგი ჩვეულებრივ დადის ხოლმე შაბათ-კვირას.

ოფიციალურად წუსვლელობის მიზეზად ის დასახელეს, რომ რეგანი კვირას უნდა დაბრუნებულიყო თეთრ სახლში კონცერტზე დასასწრებად. მაგრამ ადგილობრივი მეთვალყურენი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის საკვირო დასვენების გაუქმებას უშფალოდ უკავშირებენ პანამის შინაპოლიტიკურ მდგომარეობას, რომლის საკანონმდებლო კრებამაც ხმა მისცა ქვეყნის პრეზიდენტის დილე

□ □

შეგვიბრალეთო, გვეშველარება
ფესვი, ფოთოლი, ზვირთი და
კონცი,
აქ, მარადისი ტკბილნეტარებით
ზღვა და ხმელი რომ ერთმანეთს
კოცნის,
შეკაცქერი, მეწყვის და სველ
თვალებში
ანუ ეფრფილი ნაწყენ
სიოცხლის.

ნატვრის სახლი

უცხოელი თანამემამულე
ალი ფიქრი

ჩემი კვნესა მუსაჯირის
ცრემლითაა განბანილი.
მე ჭიროვნა მახატია
ტანზე ქართულ ანბანივით.
ასე მითქვამს! ასე უნდა
ტკივილებით ვზიდო სხვა
დროც;
ქართველი ვარ, მაინც, მუდამ
საქართველოს ყვავილს
ვნატრობ.

მოვდიოდი... სატანჯველთა
ცეცხლი ისე მწვავს და
ვჩივი, —
მეგობარო, გამარჯვება
ჯერ როდია მოხვეებელი.
მომძახიან ძმების ხმები
შორიდან თუ ახლოდანა.
მოძალადე ქარში ვხმები,
განშორება მახლის დანას.

ღმერთი თუა შევთხოვ,
მაღლით,—
გადმოგვხედე ერთხელ
ღმერთმა:
ხალხი თუ ვარო, ერთი ხალხი
შეგვეერთე, მადლო, ერთად!
აქ, შორეთში ქვით თუ ჭირით,
განშორების ავდრით
დაღლილო,
აუგიათ მუსაჯირეს
საქართველოს ნატვრის
სახლი.
გულით უვლის ჩვენებური,
აქ ეგულების რადას
ერთი, —
ჩაწერილი, ჩახატული,
ჩაზიდული მემლექეთი.
ასე არის! ნუთუ უნდა
ტკივილებში ვზიდო სხვა
დროც?!
ქართველი ვარ, მაინც, მუდამ
საქართველოს ყვავილს
ვნატრობ.

ბრუნდებიან სახელები

ლადო სულაბერიძეს

მკვდრეთით,
შორზე შორეთიდან,
უსაშველო ომებიდან, —
შინაური ომებიდან,
განა თვალებახელილნი?! —

ბრუნდებიან სახელები,
დაბორკილი სახელები,
დაკარგული სახელები,
დახვრეტილი სახელები.

წვეტიული,
მტვრადქცეული,
დაცხრილული, დაღვარული,
გალახული, დაფალული
ბრუნდებიან სახელები —

სახლებში და სახეებში
საოქმელში და საქმეებში,
თვით სიკვდილშიც
თავის სინდის
დაეძებენ ადელვებით.
ბრუნდებიან სახელები...

უპატრონო ბავშვი

საღამოთი, როგორც ბედი,
უდედმამო ბავშვთა ბაღში,
შემეფეთა უცაბედი
მზერა უპატრონო ბავშვის.

დამდგარა ბავშვის დარდმა, —
ენთო ცივი ცრემლი თვალში.
ალერსს მთხოვდა.., გული
დადნა,
კაცი დავიწვი და გავშრი.

განშორება, თვით სიკვდილიც
არაფრად ჩანს ცხოვრებაში,
როცა გდევს და შენში ტირის
მზერა უპატრონო ბავშვის.

...ზეინს მიწას მიმაბარეო

27 თებერვალს ქართველმა ხალხმა შშობლიურ მიწაში დაკარგა სავანე თვალსაჩინო მეცნიერს, ჩვენს თანამემამულეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპპატონ აკადემიკოს, საზღვარგარეთის მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრს კალისტრატე სალიას, რომელიც საზღვარგარეთელ მკითხველს ქართველი ერის უმდიდრეს ისტორიასა და ლიტერატურას. თავის მეუღლესთან — ერთგულ მეგობართან და თანამოსაგრესთან ნინო სალიასთან ერთად იგი პარიზში სცენდა ქართველოლოგიურ ეუონალს „რეკეიუ დე კარტელოლოგიე“ („ბედი ქართლისა“), რომელშიც იბეჭდებოდა სტატიები და ნაკვლევები საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურის შესახებ. სალიმბამ ამ გამოცემის ირგვლივ თავი მოუყარეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ ქართველოლოგებსა და ორიენტალისტებს, რომელთა პუბლიკაციები ეუონალს დიდ მეცნიერულ წონას ანიჭებდა.

1972 წელს კალისტრატე და ნინო სალიებმა ფრანგულ და ინგლისურ ენებზე გამოსცეს შრომა „საქართველოს მოკლე ისტორია“, ხოლო შემდეგ კ. სალიამ გამოქვეყნა თავისი ფუნდამენტური შრომა „ქართველი ერის ისტორია“, რისთვისაც იგი საფრანგეთის აკადემიის პრემიით დაჯილდოდად.

უდიდესი ღვაწლი დასდო კალისტრატე სალიამ ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და გამდიდრებას. მან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი ბ. ფუტკარაძე, ჰოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ბარამიძე, იუნესკოს თანამშრომელი, პროფესორი ზ. ფალავა, რომლებმაც ილაპარაკეს ქართულ მეცნიერებასა და კულტურაში კალისტრატე სალიას მიერ შეტანილ დიდ წვლილზე, აღნიშნეს, რომ ღირსეული მამულიშვილის ნეშტის სამშობლოში გადმოსვენება დიდმნშვნელოვანი მოვლენაა.

ჩვენი ერის სასიკეთოდ მოღვაწეთა სავანეს შეემატა კიდევ ერთი წმინდა საფლავი — საფლავი კალისტრატე სალიასი, რომლის სახელი და მეცნიერული მემკვიდრეობა უკვდავია.

(საკინწორმი).

დაბრუნება

ახლა ბატონი კალე სალიას სამშობლოში დაბრუნების დიდი ხნის ოცნებაა! ბისი ნეშტის თბილისში ჩამოსვენება და მისთვის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა სავანეში სამუდამო განსასვენებლის მიჩენა — ბუნებრივი დასასრულია ბატონი კალეს სანგრძლივი, თავდადებული და უანგარო მოღვაწეობისა, ქართული კულტურისა და მეცნიერების სარბიელზე.

ქართველ ემიგრანტთა შორის სალიები ერთ-ერთი პირველნი იყვნენ, რომლებიც, ომის შემდეგ დიდი ტაქტით და სამშობლოს წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით დაუკავშირდნენ სამშობლოს საქართველოს მეცნიერებს, მწერლებს, კულტურის მოღვაწეებს. ამის გამო მათ საფრანგეთში მრავალი უსიამოვნება შეხვდათ როგორც ფრანგების, ასევე ქართველების მხრივ, მაგრამ იმ დროისათვის მათ მიერ გადადგმული ამ გაბედულმა ნაბიჯმა, მათს ცხოვრებასა და არსებობას ახალი აზრი და ახალი შინაარსი შესძინა. იმ დროიდან მოყოლებული, მათ არსებობა სამშობლოსათვის მოღვაწეობის გარეშე ვერ წარმოდგინეთ. სმასთან ერთად აზრდებოდა სურვილი ახალი სამართველოს ნახვისა. 1974 წელს სალიებმა განაზრახეს კიდევ ინდივიდუალური ტურიზმით საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ ამ სურვილს განხორციელება არ ეწერა. მას ხელი შეუშალა ნინოს ენამბორეულობის მდგომარეობის გაუარესებამ და გარდა ამისა, როგორც ჩანს, პირველ რიგში კალე სალიას შიშმა, რომ ფიზიკურად ვერ გაუძლებდა საქართველოსთან ნანატრი შეხვედრით გამოწვეულ სხვადასხვა ემოციებს. ამ დარბაზ სალიებისათვის საქართველოს ხილვა განუზორციელებელ ოცნებად.

დიდი დამახასიათებელი მიუძღვის კალე სალიას ქართული მეცნიერებისა და კულტურის წინაშე, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ადამიანი, რომელსაც იგი ეწოდა „ბედი ქართლისას“ ირგვლივ ცნობილ ქართველოლოგთა და ორიენტალისტთა თავმოყრისა და ერთგვარად მათ მუშაობის წარმართვისათვის. 1957 წლიდან ეუონალის რედაქცია დაკომპლექტდა მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერებით, რომელნაც დიდი სიხარულით შეხვედნენ ახალი ქართველოლოგიური ეუონალის დარსებას და თავისი აქტიური მონაწილეობით სწარაფად ახწიეს ეუონალის მეცნიერული პრესტიჟი. ამავე დროიდან ეუონალში ქვეყნდებოდა ცნობილი ქართველი მეცნიერების წერილები. ასე მთანავე ბატონი კალე შეუდგა საზლვარგარეთ ქართველოლოგთა ახალი თაობის მოზრდიბაზე ზრუნვას. არჩევდა ნეგერ ახალგაზრდებს ორიენტალისტთა შორის და ცდილობდა მათი შუმობა ქართველოლოგიის მიმართულებით წარმართა.

მაგრამდება, პირველად რომ ჩავედი პარიზში (1972 წელს) და გავიცანი ნინო და კალე სალიები, კალეს სასწრაფოდ გამოძახა ბელგიიდან ახალგაზრდა ორიენტალისტი მიშელ ვან ესბრაკი, ხოლო სოლომის საბაჯოდან, რომელიც 800 კილომეტრით იყო პარიზს დაშორებული, ბერნარ უტიე.

დანიშნულ დღეს და საათზე ორივე გამოცხადდა სალიებთან. ჩვენს გაკვირვებას მოსყვა მათი ჩამოსვლა თბილისში, შუშაობა ხელნაწერთა ინსტიტუტში, მათი დაკავშირება ქართულ სამეცნიერო საზოგადოებასთან. დღეს ორივე ცნობილი ქართველოლოგია.

კალე სალიამ თავისი მოღვაწეობით ევროპის სხვა ქვეყნებშიც კიდევ მრავალი მეცნიერი და მეგობარი მოუპოვა საქართველოს და ისანიც დაუკავშირა ქართულ საქმეს.

სალიებს გამახვილებული თვალი და უური ჰქონდათ ყველაფერზე, რაც საქართველოს შეეხებოდა. ქართული კულტურისა და ისტორიის საკითხებთან დაკავშირებულ მცდარ და არამეცნიერულ კვალიფიკაციებს ეფრთხილ პრესაში იგი არავის აპატიებდა. უმალვე „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე აქვეყნებდა თავის ან რომელიმე კომპეტენტური მეცნიერის პასუხს. ასეთი ფაქტები სიმრავლეზე გადაწყვეტილნა ბატონ კალეს დაეწერა და გამოექვეყნებინა ფრანგულ და ინგლისურ ენებზე დიდტანიანი ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია“, სადაც შეეცადა თავი მოეყარა ქართული ისტორიოგრაფიის უკანასკნელი მიღწევებისათვის და ამით კვალიფიკაციური ინფორმაციები მიეწოდებინა ევროპელი მეცნიერებისათვის საქართველოს შესახებ. ამ წიგნმა ევროპის სამეცნიერო წრეებში დიდი მოწონება დამსახურა, ხოლო საფრანგეთის აკადემიისგან მაღალი ჯილდო მიიღო. ქართველი ჰუმანიტარული დარგის მეცნიერების განვითარებისათვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა სალიების ' გადაწყვეტილების ხელნაწერთა ინსტიტუტში ნ. სალიას სახელობის უცხოური სამეცნიერო წიგნის ფონდის შექმნის შესახებ. ამ მძიმე საქმის განხორციელების დიდმა სურვილმა უკვე ხანში შესულ კალეს თითქოს ახალი, ჭაბუკური ძალა შემატა. ამ საქმეზე კიდევ უფრო დაკავშირა სალიები ქართველ სამეცნიერო საზოგადოებასთან. ფონდის შექმნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაც ყოველმხრივ უწყობდა ხელს, მაგრამ მთელი სიმძიმე ამ ფონდის შექმნისა წლების მანძილზე კალე სალიას ზურგზე გადადიოდა.

ამ საქმის წარმატების დიდად შეუწყო ხელი იმისაც, რომ წლების მანძილზე კალე სალიას სამეცნიერო პრესის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად თვლიდნენ, რაც უადგილებად მას გამოცემლობებთან ურთიერთობის დამყარებას და უშოვნელის შოვნას; მაგრამ წარმატების მთავარი მიზეზი, ალბათ, კალე სალიას უთუოდ გამორჩეულ ორგანიზატორულ ტალანტში, მის შეუდარებელ ნებასა და საქართველოსადმი დიდ სიყვარულში უნდა ვეძებოთ. „დღეს ჩვენ ვიმკით ამ დიდი შრომის ყეთილ ნაყოფს.

აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ ნინო სალიასთან შეთანხმებით, სამეცნიერო წიგნის ფონდი ამიერიდან ნინო და კალე სალიების სახელობისა იქნება.

მსუბუქი იყოს კალე სალიასათვის მიწა! სანუკვარი საქართველოს მიწა.

ელენე მეტრეველი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი.

გესალმებით და გემშვიდობებით, ბატონო კალისტრატე

კალისტრატე სალია პირველად ვნახე 1969 წლის იანვარში. მას, ღრმად დაინტერესებულს და გატაცებულს ყოველივე იმით, რაც ეხებოდა ქართული კულტურის პრობლემებს, არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენოდა თბილისიდან ფრანგულ უნივერსიტეტში სამუშაოდ ახალგაზრდა ქართველი ფილოლოგის ჩამოსვლა, მშობლიური სითბო და მორალური მხარდაჭერა, რომელიც ვიგრძენი სალიებთან შეხვედრის პირველივე დღიდან მათ პარიზულ სახლში ქეკერო ბერლიოზის ქუჩაზე, მაგნანვებდა და ძალას მმატებდა საფრანგეთში ქართული ცივილიზაციის სწავლების მთელი სამი წლის მანძილზე.

ბერლიოზის ქუჩა № 8, სახლი პარიზის ერთ-ერთ მყუდრო და ლამაზ უბანში, სადაც ცხოვრობენ მსახიობები და დიპლომატები, ქართული კულტურის დაინტერესებულ მეცნიერთათვის, ყველასათვის, ვისაც გადაუფურცლავს სალიების „ბედი ქართლისა“, იქცა, უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მანძილზე, უმნიშვნელოვანესი ქართველოლოგიური ცენტრის მისამართად, ამ მისამართით აგზავნიდნენ თავიანთ სტატიებსა და რეცენზიებს მეცნიერები მრავალი ქვეყნიდან, აქედან იგზავნებოდა სტამბაში ფურცლების ტექსტი და კორექტურა, აქედან ვრცელდებოდა ეუონალი მთელ მსოფლიოში.

იმას, რაც ისურვა და რისი გაწორიციელებაც შესძლო კალისტრატე სალიამ, გადაუვარბებლად შეიძლება ეწოდოს გმირობა და მამულიშვილური ვალის პირნათლად აღსრულება. უცხოობაში აღმოჩენილ ბევრ ქართველთაგან განსხვავებით, რომელთაც უაზროდ გაანიავეს, მიმოფანტეს თავიანთი ნიჭი და ქონება, კალისტრატე სალიამ ყველაფერი, რაც გააჩნდა და რაც შეეძლო, მოახმარა საქართველოს სამსახურს. მას ღრმად სწამდა, რომ არ არსებობდა სხვა საქართველო, გარდა შავ ზღვასთან და კავკასიონთან მდებარე მიწა-წყლისა და რომ საქართველოს თანამედროვე კულტურასთან და საზოგადოებრიობასთან თანამშრომლობის გარეშე არ შეიძლებოდა არავითარი ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარება. ეს ჭეშმარიტება სრულიადაც არ იყო უცილობელი სხვებისათვის, რომელთაც დიდ ეროვნულ საქმეში თანადგომის ნაცვლად ბატონ კალისტრატესათვის, მისი ამ ფხიზელი და ბრძნული პოზიციის გამო არაერთხელ მიუყენებიათ წყენა და ტკივილი.

სვედას, რომელიც ჩაბუდებულია სამშობლოდან გადახვეწილი ყოველი ქართველის თვალებში, გრძნობდით კალისტრატე სალიას მზერაშიც. ყოველთვის, მაშინაც კი, როდესაც იგი იცინოდა და იღიმებოდა. მაგრამ სალიას ნოსტალგია იყო სრულიად სხვაგვარი. არა გამომფიტავი, სულის დამშლელი, არამედ მის მიერ ეროვნული მოვალეობის ღრმა შეგნების გამო შთამაგონებელი და ძალის მომნიჭებელი. ეს იყო შეგნება ქართული მეცნიერებისათვის იმ საქმის ხელმძღვანელად ყოფნისა, რომელიც დაუსახა სალიამ ორივე ცნობილი ქართველოლოგია.

კალე სალიამ თავისი მოღვაწეობით ევროპის სხვა ქვეყნებშიც კიდევ მრავალი მეცნიერი და მეგობარი მოუპოვა საქართველოს და ისანიც დაუკავშირა ქართულ საქმეს.

სალიებს გამახვილებული თვალი და უური ჰქონდათ ყველაფერზე, რაც საქართველოს შეეხებოდა. ქართული კულტურისა და ისტორიის საკითხებთან დაკავშირებულ მცდარ და არამეცნიერულ კვალიფიკაციებს ეფრთხილ პრესაში იგი არავის აპატიებდა. უმალვე „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე აქვეყნებდა თავის ან რომელიმე კომპეტენტური მეცნიერის პასუხს. ასეთი ფაქტები სიმრავლეზე გადაწყვეტილნა ბატონ კალეს დაეწერა და გამოექვეყნებინა ფრანგულ და ინგლისურ ენებზე დიდტანიანი ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია“, სადაც შეეცადა თავი მოეყარა ქართული ისტორიოგრაფიის უკანასკნელი მიღწევებისათვის და ამით კვალიფიკაციური ინფორმაციები მიეწოდებინა ევროპელი მეცნიერებისათვის საქართველოს შესახებ. ამ წიგნმა ევროპის სამეცნიერო წრეებში დიდი მოწონება დამსახურა, ხოლო საფრანგეთის აკადემიისგან მაღალი ჯილდო მიიღო. ქართული ჰუმანიტარული დარგის მეცნიერების განვითარებისათვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა სალიების ' გადაწყვეტილების ხელნაწერთა ინსტიტუტში ნ. სალიას სახელობის უცხოური სამეცნიერო წიგნის ფონდის შექმნის შესახებ. ამ მძიმე საქმის განხორციელების დიდმა სურვილმა უკვე ხანში შესულ კალეს თითქოს ახალი, ჭაბუკური ძალა შემატა. ამ საქმეზე კიდევ უფრო დაკავშირა სალიები ქართველ სამეცნიერო საზოგადოებასთან. ფონდის შექმნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაც ყოველმხრივ უწყობდა ხელს, მაგრამ მთელი სიმძიმე ამ ფონდის შექმნისა წლების მანძილზე კალე სალიას ზურგზე გადადიოდა.

ბატონ კალისტრატესაც დასტყობოდა ღრმა სიბერე და მოტეხილობა, ფიქრობდა და წუხდა თავისი პირმშოს „ბედი ქართლისას“ მომავალზე, ცხოვრების გზას თვლიდა დასრულებულად. ერთადერთი, რაც უთბობდა სულს, იყო საქართველოდან მოეტანილი ცნობა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სპპატონ წვერად მისი წარდგენის შესახებ. ამ წოდების მინიჭება იყო მისი უკანასკნელი დიდი სიხარული. მისი სხვა დიდი ნაგრა — ოდესმე, თუნდაც ერთხელ, კალეს ზიარებოდა მშობელი მიწის მადლს, აუხდა მხოლოდ ამვარად — საქართველოზე ფიქრით დამწვარი დაბრუნებოდა სამშობლოს ფერფლად, მის მიწაში სამუდამოდ განსასვენებლად.

თავდადებულ მამულიშვილისადმი ღირსეული პატივის მიგება, სამური პატრიოტული საქმეა. იგი ჩინებულად ეროწყმება იმ სულისკვეთებას, რომელიც დღეს ჩვენში სუფევს. ქართველმა საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს იმ დიდი ღვაწლის თაობაზე, რაც კ. სალიას ნეშტის გამოსვენებას დასდო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ, საფრანგეთში საბჭოთა საელჩომ, ასევე მაღლიერებით ვარო გამსჭვალული საფრანგეთის სათანადო სახელმწიფო ორგანოებისადმი.

არცერთი ეკონილი საქმე ხალხს არ ავიწყდება.

ალექსანდრე ალექსიძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1987 წლის 5 მაისს მიიღეს ერთობლივი დადგენილება რუსუბლიკაში არქეოლოგიური კვლევის შემდგომი განვითარებისა და არქეოლოგიური დაწესებულებებისა და ეკსპედიციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების შესახებ. დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული არქეოლოგიური კვლევის მაღალ მეცნიერულ დონეზე მოწყობაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თანამედროვე საბუნებისმეტყველო და სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტების მონაწილეობის აუცილებლობა. რა წელილი აქვს ამ მასშტაბური სამუშაოში საქართველოს ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტს?

სწორედ ამის განმარტება სთხოვა ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ლ. ბაბასარიამ ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს თენგიზ ზგელიაშვილს.

საქართველოში გეოლოგიის მეცნიერებას დღეს შეტად მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. ჩვენი რესპუბლიკა სამგზოთა კავშირში ერთ-ერთი გეოლოგიური მაღალ დონეზე შესწავლილი მხარეა. დიდია ქართველ გეოლოგთა მიერ შესრულებული რიგორც წმინდა თეორიულ-მეცნიერული, ისე პრაქტიკული ხასიათის შედეგები. ამ მიღწევების გამოყენებით შესაძლებელია წარმატებით გადაწყდეს არქეოლოგიისათვის საჭირო და სასტატერესო მთელი რიგი გეოლოგიური პრობლემები.

არქეოლოგიურ ძეგლებში გეოლოგიური სამუშაოს წარმოებისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტოპონიმიკურ ლექსიკურ (სპეციალურ ტერმინთა), დიალექტოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ ცნობებს, რაც ჩვეულებრივი გეოლოგიური კვლევისას უფასურნეულოდ ფასდება. ამ ცნობების გამოყენება კი ამგვარი კვლევისას მთ თანმიმდევრულ, გარკვეულ სისტემაში მოყვანასაც გულისხმობს; მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველ წერილობით ძეგლებში დაცულ ცნობებს ამა თუ იმ მინერალური წარმონაქმნისა და, საერთოდ, ბუნებრივ მოვლენათა შესახებ, აგრეთვე ცნობათა ტრადიციულობის დადგენას.

გარდა ამისა, ამ ორი მეცნიერების ზღვარზე წამოჭრილ საკითხთა კვლევის ექსპერიმენტული ნაწილიც მეტად თავისებურია, კვლევისთვის საჭირო ექსპერიმენტების იმ სახით წარმართვა, როგორც ეს ჩვეულებრივ გეოლოგიის მეცნიერებაში ხდება, აქ არ გამოვადგება. ყოველივე ეს განაპირობებს მოსაზღვრე მეცნიერული მამართულება — გეოარქეოლოგიის წარმოქმნის აუცილებლობას.

ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შეეეხოთ ერთ მიერ წარმოებულ გეოარქეოლოგიურ კვლევას და მიღებულ შედეგებს.

1981-1984 წლებში მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის, აკადემიკოს ანდრია აფაქიძის თხოვნით შეკისწალეთ ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალები. ამჯერად ინტერესის საგანი გახლდათ დიგენოლიტება მძიმეებსა, რომლებშიც წამყვანი ადგილი ეკავა სარდიონსა (ქალცედონის ფიფილი სახესხვაობა) და გაშერს. კვლევისას საჭირო გახდა სამივე მასალის წარმოშობა, რომელიც ერთ გარკვეულ გეოლოგიურ წყაროსთან არის დაკავშირებული. ეს . წყაროა კი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ (დაახლოებით 50 კილომეტრზე ვრცელდება ოდანმრნი. წინასწარი გეოლოგიური დაკვირვებით ნაფილი გახდა, რომ წყაროს თავისი შემადგენლობით ერაერთგვაროვანია, ესე იგი რკინის გამდენება ამ წყაროს ცალკეულ უბნებშია წარმოდგენილი. მეტად საინტერესოა ის გარემოებაც, რომ რკინის დიდი შემცველობა იმ უბნებშია მოპაპებული, სადაც ფერა ნახშირიც გვხვდება. ორგანული ნივთიერების (ფერა ნახშირის) და რკინის გამდენების თანაარსებობა კი მეტად მნიშვნელოვანი ფეოლოგიური ! ფაქტორია. ამჟამად გეოლოგიის მეცნიერებაში კარგად არის ცნობილი ორგანულ ნივთიერებასთან რკინის, ტყვია-თუთიის, ოქროს, მანგანუმის, ქრომის, სპილენძისა და სხვა საბადოთა არსებობა.

სავალე მუშაობისას რკინის მადანგამოვლინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლდათ უდაბნოში არსებული რკინის წიდები. იქ, სადაც წიდები ანუ ძველი მეტალურგიული ნაშთებია, მის სიახლოვეს (ზემოაღნიშნული წყაროს ფარგლებში) რკინის მადანგამოვლინებაც არის. ასეთი წიდიანი მოედნები კი დავით გარეჯის უდაბნოში საკმაოდ არის წარმოდგენილი. აქ შეგროვებული რკინის მადანგამოვლინების ნიმუშებში ნივთიერი შედგენილობა შესწავლილ იქნა გეოლოგიის და კიკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტებში. რკინის საშუალო შემცველობა ულრის 40 პროცენტს. ექვე დიდი რაოდენობით აღმოჩენილ მანგანუმიც (10 პროცენტი). ყურადსაღებს იქცევს ის გარემობა, რომ საკმაოდ დიდია კარბონატული შემადგენელი (5 პროცენტი). ეს კი, როგორც ცნობილია, მეტად ხელსაყრელ პირობას ქმნის რკინის გამოსადნობად (ბუნებრივი ფლუსი).

აღმოჩენილი რკინის საბადო ამ ტიპისა და ამ ასაკის ნალექებისათვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი ჩვენში. აღნიშნული ნალექები მეტად ფართოდ არის გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში. ამავე ნალექებში გვხვდება ზემოთ აღნიშნული გიშრის (ფერა ნახშირის) ცალკეული გამოსავლებიც. ნალექების გავრცელების სხვადასხვა ბუნებაში აღინიშნება ეგრეთ წოდებული გეოლოგიური ტოპონიმები (სარეხეთი, სამადური და სხვ.). ყოველივე ეს ზრდის ამ ზონის შესწავლის გეოლოგიურ და არქეოლოგიურ ინტერესს.

არქეოლოგიურ ძეგლებში არსებული სხვადასხვა ხასიათის მასალა დიდი ხანია იპყრობს მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ყურადღებას. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურასა და პრესაში ხშირად იბეჭდება მათემატიკოსის, ტექნოლოგის (უკვე არსებობს ასტრონომიისა და არქეოლოგიის ზღვარზე აღმოცენებული მეცნიერული მიმართულება — ასტროარქეოლოგია), ფიზიკოსის, ქიმიკოსის, გეოლოგისა და სხვათა მეტად საინტერესო, ზოგჯერ, შეიძლება ითქვას, სენსაციური შედეგებიც კი. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ გარემოებას, რომ წარსული ისტორიულ ეპოქაში ადამიანს უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ბუნებასთან და იქ მიმდინარე პროცესებთან, კვლევის შედეგები უფრო საინტერესო ხდება; იგი იძენს გარკვეულ ისტორიულ-ლოგიკურ მნიშვნელობას. ასე რომ, ამ ტიპის კვლევა მეტად საინტერესოა და, ამასთან, მრავალმხრივი დასაქვნის გამოტანის საშუალებასაც იძლევა. კიდევ უფრო ზუსტდება და კონკრეტდება ისტორიული წარსული, თვალსაჩინო ხდება ადამიანთა ყოფის მრავალმხრივი ასპექტები. გარდა ამისა, წარსული ეპოქების ადამიანთა საზოგადოების საბუნებისმეტყველო მოღვაწეობა შესწავლა თვით ბუნებისმეტყველების (ამ შემთხვევაში გეოლოგიის) ისტორიაც არის. ჩვენთვის კარგად ცნობილი XVII-XVIII საუკუნეები წარმოადგენს უამრავი ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერული დარგის ჩამოყალიბების ეპოქას. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მეცნიერული დარგების ჩასახვა-განვითარების მეტად მნიშვნელოვანი წყნამძღვრები გაიცვლებთ შორეულ ეპოქებია სამეიერი.

უდაბნოში აღმოჩენილი რკინის მადანგამოვლინება, იქვე არსებული რკინის მეტალურგია და რკინის სადნობ სახელოსნოსთან ერთ. ფიეზეულრის მიერ აღმოჩენილი კერეკი, რომელიც, წინასწარი მონაკემებთ, ძვ. წ. I ათასწლეულით თარიღდება, გვაძლევს იმის ცალსახეულ უფლებას, რომ ჩვენს წინაპარ სპეციალისტებს აქვთ საკმაოდ დახვეწილი ემპირიული გეოლოგიური ცოდნა, რასაც წარმატებით იყენებდნენ კიდეც.

გეოარქეოლოგიური კვლევის წარმატებით წარმართვაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გეოლოგიისა და არქეოლოგიის ერთობლივ, შეთანხმებულ შუშაობას უშუალოდ ველზე. ამ ორი პროფესიის სპეციალისტთა შეთანხმებულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული საერთო წარმატება; სწორედ ასეთი იყო კახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციასთან ჩვენი მუშაობაც.

კ. ფიცხელაურმა და ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილემ ვ. ბარაბაშვილმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ იქ ერთობლივი კვლევა-ძიება მეტად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი ყოფილიყო არქეოლოგიური თუ გეოლოგიური თვალსაზრისით.

თ. მგელიაშვილი.

სპეციალისტის კომენტარი. **მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგიურ მეცნიერებას საქართველოში დიდი მიღწევები აქვს, იგი ამ ბოლო დრომდე მაინც ცალმხრივად ვითარდებოდა.**

ჩვენ მოავარ ყურადღებას ვუთმობთ უძველესი ნივთიერი მასალის შესწავლას, მაგრამ ძალიან ჩამოვრჩებით მათი ნედლეული ბაზისა და წარმოების კვლევაში.

ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია არქეოლოგების, გეოლოგების, მეტალურგებისა და სამთო საქმის სპეციალისტების ერთობლივი მუშაობა, რასაც უკვე გარკვეული ტრადიცია აქვს.

არქეოლოგიის კვლევის ცენტრის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციისა და გეოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივმა მუშაობამ დადო გარეჯის უდაბნოში უაღრესად არსებითი შედეგები მოგვცა რკინის წარმოების ნაშთების აღმოჩენასთან დაკავშირებით.

გამოვლენილ იქნა რკინის მეტალურგიისათვის ესოდენ საჭირო მდიდარი ნედლეული ბაზა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით გარკვეული დათარიღებული რკინის ძველი გამონამუშევრები. ამასთან, შესაძლებელი გახდა გეოლოგიური მონაცემების მიხედვით არქეოლოგიური ძეგლების ტოპოგრაფიის განსაზღვრა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიური კვლევა-ძიების შემდგომი განვითარებისათვის.

კიაზო ფიცხელაური,
კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.



სურათზე: მეტალურგიული საწარმოს ნაშთები ეშვის მთაზე (დავით გარეჯის უდაბნო).

ე. პეტრიაშვილის ფოტო.

ზოლოდ ერთობლივი ძალისხმევით

სიტყვა ეკუთვნის გეოარქეოლოგიას



□ □

შეგვიბრალეთო, გვეშველარება
ფესვი, ფოთოლი, ზვირთი და
კონცი,
აქ, მარადისი ტკბილნეტარებით
ზღვა და ხმელი რომ ერთმანეთს
კოცნის,
შეკაცქერი, მეწყვის და სველ
თვალებში
ანუ ეფრფილი ნაწყენ
სიოცხლის.

ნატვრის სახლი

უცხოელი თანამემამულე
ალი ფიქრი

ჩემი კვნესა მუსაჯირის
ცრემლითაა განბანილი.
მე ჭიროვნა მახატია
ტანზე ქართულ ანბანივით.
ასე მითქვამს! ასე უნდა
ტკივილებით ვზიდო სხვა
დროც;
ქართველი ვარ, მაინც, მუდამ
საქართველოს ყვავილს
ვნატრობ.

მოვდიოდი... სატანჯველთა
ცეცხლი ისე მწვავს და
ვჩივი, —
მეგობარო, გამარჯვება
ჯერ როდია მოხვეებელი.
მომძახიან ძმების ხმები
შორიდან თუ ახლოდანა.
მოძალადე ქარში ვხმები,
განშორება მახლის დანას.

ღმერთი თუა შევთხოვ,
მაღლით,—
გადმოგვხედე ერთხელ
ღმერთმა:
ხალხი თუ ვარო, ერთი ხალხი
შეგვეერთე, მადლო, ერთად!
აქ, შორეთში ქვით თუ ჭირით,
განშორების ავდრით
დაღლილო,
აუგიათ მუსაჯირეს
საქართველოს ნატვრის
სახლი.
გულით უვლის ჩვენებური,
აქ ეგულების რადას
ერთი, —
ჩაწერილი, ჩახატული,
ჩაზიდული მემლექეთი.
ასე არის! ნუთუ უნდა
ტკივილებში ვზიდო სხვა
დროც?!
ქართველი ვარ, მაინც, მუდამ
საქართველოს ყვავილს
ვნატრობ.

ბრუნდებიან სახელები

ლადო სულაბერიძეს

მკვდრეთით,
შორზე შორეთიდან,
უსაშველო ომებიდან, —
შინაური ომებიდან,
განა თვალებახელილნი?! —

ბრუნდებიან სახელები,
დაბორკილი სახელები

შეიცან თავი შენი!

შტრიხები ზვიად გამსახურდიას პორტრეტისათვის

ბაზეთი „კომუნისტი“ კვლავ უბრუნდება თავის ზუსტად 10 წლის წინანდელ წერილს ზვიად გამსახურდიას „მოღვაწეობის“ შესახებ. საკმაოდ დიდი დრო გასულა, მაგრამ გაკეთდა კი დასკვნები იმ წმერე გაკეთილიდან, თუ გასკრა ბაზინდელმა გულშემატკივრულმა კრიტიკამ, რჩევამ, შეგონებამ?..

წერილი ამის თაობაზე ოფიციალური ჩვენი დღევანდელი პუბლიკაცია.

პატიოსან როდი მოვიხმეთ დელფოსის ტაძარზე მინაწერი... უსსონგარი დროიდან ცდილობდა ადამიანი შეეცნო საკუთარი თავი და ამ ჭეშმი შეეცნო მოქალი სამყარო. საკუთარი თავის შეეცნობლობა არა მარტო კონკრეტულ პიროვნებას ვნებდა, არამედ სხვასაც, და უფრო ხშირად თვისტომთა, თანამოძმეთ. ამიტომ ვინაც თვითშემეცნების უნარი ან ნებისყოფა არ ყოფნიდა, მას მოყვასი ვინმე, მისი გულშემატკივარი და კეთილსაყოფელი უნდა მოელენოდა „მკურნალად და მაჯამისა შემტყვებარად“. ასეთ შემთხვევაში უფარი განმკურნებელი წამალი იყო და დღესაც ასეა — მარადალი სიტყვა და მწარე სიმართლე.

თვისტომის, მოყვასის საკეთილდილნერეანა ეს სტრიქონებიც.

იუავ ის, რაც ხარ!

ზვიად გამსახურდიას, ნიჭიერ, განათლებულ პიროვნებას, ფილოლოგს, მთარგმნელს და მწერალს, ცხადია, თავის თავზე ეროვი წარმოდგენა არ უნდა ქონდეს, მითუმეტეს, რომ მაგშოობიდან, ოჯახშივე და ნათესაობაშიც, ყველა მის ნიჭიერებასა და განსაკუთრებულობაზე ლაპარაკობდა. ანდა რატომ უნდა ყოფილიყო დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას შვილი სხვაზე ნაკლები. მშობლები პატარობიდანვე არაფერს იზურებდნენ ინსიპირის, რომ მას უზრუნველად ეცხოვრა, არაფერი მოაკლებოდა. ასწავლიდნენ ენებს, მუსიკას, ლიტერატურას, უღვიძებდნენ სამშობლოს სიყვარულს. ერთი სიტყვით, მას დიდ მომავალს უქადდნენ.

ბავშვობის წლები მიილია, სტუდენტობისაც... განათლებული, დიდი იმედების მომცემი ახალგაზრდა ცხოვრების სარბიელზე, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ფა... მალე იმედი უცრუდება, განსაკუთრებულ, ისეთს, „საქმემან ჩვენმან რომ გამოვაჩინოს“, ვეძებიერსა ქმნის, რიგითობა, ჩვეულებრივი, სხვათაგან განსხვავებული ნიჭიერება კი არ აკმაყოფილებს. და აქ იწყება ტრაგედია, განხეთქილება, შეუსაბამობა მის სურვილებსა და შესაძლებლობებს, ოცნებასა და რეალობას შორის. მალე მიაკვლევს „გამოსავალს“ — ყველაზეარს გარემო-პირობებს, საზოგადოებასა და სახელმწიფოს გადაბრალებს.

მალე ზოგიერთი „ეროვნულმყოფელი ელშემატკივრის“ აშკარად თუ ფარულად დაკრული ტაშისა და ზეკეკლების შედეგად უნნდება განდიდებისაკენ განსაკუთრებული ბიერკეტები, თანაც ბოლომდე გაუცნობიერებელი და შინაგან კონტროლს მოკლებული.

ეს დაავადება ჯერ კიდევ საწყის ფაზაშია, მისი სიმპტომები ჩანს და მკურნალობა ადვილია, თუ კი სადად, რეალისტურად შეაფასებს საკუთარ ნიჭს, მონაცემებს, ნაღვაწს, მაგრამ მას ხელს უშლის საკუთარი „მე“, რომელსაც სხვის თვალში თავის მოსაწონებლად ამდენი ხანია ძერწავს და ეკრიფრით შელეკვა. მას წარმოდგენაც კი უჭირს იმისა, რომ სხვათა თვალშიც იმად იქცეს, რაც სინამდვილეშია. და კვლავ ყოველნაირი ბნეთა და ხერხით ცდილობს საკუთარი პერსონის, „მეს“ წარმოჩენას, რათა სხვაგან და საკუთარი თავიც დაარწმუნოს, რომ იგი არაორდინარული, გამორჩეული პიროვნებაა. იგი ახალ ხერხს მიმართავს, მართალია, სხვათაგან ნაცადს და ძალზე საეჭვოს, მაგრამ მისთვის მაინც ხელმოსაჭიდს — იქნებ უცხოეთში მაინც „ფაფასონ“. უცხოეთიც სიამოვნებით აკმაყოფილებს დიდი კონსტანტინეს შვილის აბსიციურ მოთხოვნებს (რა ენაღვლება, ან რას კარგავს!) და ამალე სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა რადიოსადგურთა „ხმებში“ მისი მისამართით გაისმის: „ცნობილი ქართველი მწერალი“... „ცნობილისის უნივერსიტეტის პროფესორი“... „ჯაუფის დამაარსებელი“.. „ფუძემდებელი“... „ეროვნული ემირი“ და სხვა. როგორც ჩანს, მას ასეთი აღმატებული, დაუმსურებელი შეფასებანი არათუ არ შეურაცხყოფს, არც სწყინს, ადამად სიამოვნებს კიდეც, რადგან არსაოდეს განუფასდა ეს ... არამიბეკტურად მაფასებენ — მე არც პროფესორი ვარ, არც ცნობილი მწერალი და არც ერთ ენაზეა ემირიო.

საქმემან შენმან გამოგაჩინოს

ეპინეს, რა „ნაღვაწისა“, გამო, რა „პატრიოტულ“ საქმეთა გამო იჩენენ ინტერესს უცხოეთში ზვიად გამსახურდიასადმი?

ჩვენი ცხოვრების წესისა და კანონებისათვის შეუთავსებელი მოქმედებისთვის იგი რამდენჯერმე გასამართლეს. მაგრამ იქნებ ჯობდეს თვით ზ. გამსახურდიას მოვუსმინოთ: „თავს დამნაშავედ ვგრძნობ, ვაღიარებ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დასუტების მიზნით სისტემატურად ვამზადებდი, ვამრავლებდი, გასავრცელებლად ვინახავდი და ვავრცელებდი მასალებს, რომლებიც შეიცავდნენ ცილსმწამებლურ ბამონაგოს, დამახინჯებულად აზუქებდნენ საბჭოთა კავშირში მინაპოლიტიკურ მდგომარეობას, რითაც ჩირქს ვცხებდი საბჭოთა და საზოგადოებრივ წყობას. გარდა ამისა, ჩემს მიერ დამზადებულ და გავრცელებულ ზოგიერთ ლიტერატურაში იყო საბჭოთა ხელისუფლების შესუსტებისაკენ მიმართული მოწოდებები“.

ი, პირველი და უმთავრესი მიზეზი იმისა, თუ რატომ „შეიყვარეს“, „ფაფასესეს“, „ბანდიდეს“ ზ. გამსახურდია უცხოეთში.

თავიანი „მოღვაწეობის“ შესანიშნავად 1974 წელს მან თავი „საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საინიციატივო ჯგუფის“ დამაარსებლად გამოაცხადა.

ზ. გამსახურდია და ჯგუფის სხვა წევრები კონტაქტს ამყარებდნენ საბჭოთაისაგმი მტრულად განწყობილ უცხოელებთან და გადასცემდნენ მათ ტენდენციურ, ცილისმწამებელურ ინფორმაციებს, რომელსაც უცხოეთის იდეოლოგიური ცენტრები თავიანთი მიზნებისათვის ანუ ჩვენთან ბრძოლისათვის იყენებდნენ. თავის მხრივ, უცხოელები უზვად ამარაგებდნენ მათ ანტისაბჭოური ლიტერატურით. (ზ. გამსახურდია: „1974 წლიდან განსაკუთრებული აქტიურობით შეუდექი ანტისაბჭოთა ლიტერატურის შეძენასა და გამრავლებას როგორც პოლიგრაფიული საშუალებებით, ისე საბეჭდი მანქანით.

1976 წლის 26 ივნისს მოსკოვში დაკუკავშირდი ჩემს ნაცნობს, მოსკოველ ამერიკელ საელჩოს თანამშრომელს იგორ ბელოუსოვს, რომელმაც მათხოვა საკმაო რაოდენობის ანტისაბჭოთა ლიტერატურა“.

ჯგუფის წევრებს ესეც ეყოფათ და გადაწყვიტეს გაეფართოებინათ, გეოგრაფიებინთ მოღვაწეობის სფერო. 1976 წელს დაიწყეს არალეგალური ჟურნალის გამოცემა.

(ზ. გამსახურდია: „ჟურნალში გამოვაქვეყნე ანტისაბჭოთა პროკლამაციი „ტეტ“, რომელიც ჩირქს სცხებს საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობას, შეიეიგს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდებებს. აქვეა მოთავსებული სტატია ფაშისტური არმიის გენერალ მაღლაკელიძეზე, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას ეწეოდა“).

ჯგუფის წევრები თავიანთ წრეში ამამდნენ, გარშემო იკრებდნენ პოლიტიკურად უმწიფარ, გულუბრყვილო, მიმნდობ ზოგიერთ ახალგაზრდას და მათ პოტენციურ დამნაშავეებად აქცევდნენ.

ეს კი მეტისმეტი იყო.

აშკარად ზ. გამსახურდია და ჯგუფის სხვა წევრები აშკარად გამოხატული ანტისაბჭოური მოქმედებისა და პროპაგანდისთვის 1978 წელს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

ბრალდება იმდენად დასაბუთებული და ფაქტებით განმტკიცებული იყო, რომ ზ. გამსახურდიას არც უდიდა არაფო უარყოფა, არამედ თავის მართლებაც კი. განაჩენში, რომელიც 25 გვერდს მოიცავს, დეტალურად არის აღნუსხული ყველა ფაქტი, თუ წლების განმავლობაში რა სახის ლიტერატურა სად მეიძინეს, სად გაამრავლეს, სად და ვისი საშუალებით გაავრცელეს. როგორც ირკვევა, საკმაოდ ვარი უკდებოდა ეს საქმიანობა ზ. გამსახურდიას. მაგალითად, 1974 წელს „არკიპელაგ გულაგის“ 25 ეგზემპლარის გამრავლებაში მან ვინმე ქაფთარაძეს 850 მანეთი გადაუხადა, 1975 წელს სხვადასხვა წერილების ოთხ ეგზემპლარად გადაბეჭდვაში — 700 მანეთი, 1976 წელს „ჟურნალი „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომრის 12 ეგზემპლარად გადამრავლებაში — 200 მანეთი, თანაც ქაღალდი და სალებავი თვითონ მოუტანა. 1977 წელს „ოქროს საწმინის“ და „საქართველოს მოამბის“ 50 ეგზემპლარად გადამრავლება 1500 მანეთი დაუჯდა. და ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია.

საინტერესოა საიდან მოუღია... და იგი ამდენ ფულს, ქაღალდს, სალებავს. მისი ხელფასი ამას ნამდვილად არ ეყოფოდა. ალბათ, მამამისის ნაწარმოებთა გამოცემებით მიღებულ პონორარს ხარჯავდა, რომელსაც იგი იმიტომაც იღებდა, რომ დიდი მწერლის დანტოგარი მემკვიდრეობისათვის მოეკლო და ხელი შეეწყო მისი სახელის უკვდავყოფისთვის.

განაჩენის კითხვისას, რომელსაც თავის დროზე ბაეენო ყველა, ვისაც ინტერესებდა (პროცესი ღია იყო), თვალში ბეჯდებათ ერთი უცნაური ფაქტი. ზ. გამსახურდიას თავისი მიზნის მისაღწევად ვისთან, რა ტომისა და ჯურის ხალხთან არ დაუმყარებია კავშირი. უმრავლესობა ამ პირებისა არა მარტო საბჭოთა ქვეყნის, არა მარტო საქართველოსა და ქართველი ერის მტერია, არამედ ბორკმოქმედიც, სპეკულანტიც, ჯაშუშიც, ცილისმწამებელიც. რას წარმოიდგენდა დიდი კონსტანტინე, რომ მის ნაღვაწ-ნაჯაფარს მისი შემკვიდრე ასეთი ჯურის ხალხს შეალეფდა. და მერე რისთვის?

ასეთია ზ. გამსახურდიას „საზოგადოებრივი“, „ეროვნული მოღვაწეობა“ 1978 წლამდე. თუმცა, ნურც ნაღვაწს დავუკარგავთ. მართალია ამ პერიოდში მატერიული ნაწარმოები არ გამოუქვეყნია (ცნობილ მწერალად კი ისეც ნიშნავენ), მაგრამ უთარგმნია და ჟურნალ-გაზეთებში დაუბეჭდავს ო. უაილდის, ჯ. ბ. შელლის, უ. შეკსპირის რამდენიმე ნაწარმოები, ორიოდე წერილი და რეცენზია, მონოგრაფია XX საუკუნის ამერიკელ პოეზიაზე და წიგნად გამოუცია ლიტერატურული წერილები. როგორც ჩანს, საქმისთვისაც მოუღია, ერთგვარად მაინც რომ გამმართლებინა ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობა. და მაინც, ულვაშია, და დაბეჭდავნე, ეტყოდა, უარს არ ეუბნებოდნენ, მაგრამ იმდენად ღირებული, რომ საკუთარი პატივმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა, ვერაფერი შეუქნია, არადა, მას რომ მოელი თავისი დრო, ნიჭი, ძალა და ენერგია ამ საქმისთვის შეელია, ვინ იცის, იქნებ უფრო მეტიც და უფრო ღირებულიც შეექმნა რაიმე, თავის სამშობლოსა და ხალხს რომ უფრო მეტად წაადგებოდა.

განაჩენი არ იყო მკაცრი — 3 წლის თავისუფლების აღკვეთა და 2 წლით გადასახლება. და მაინც, კვლავ ღმობიერება. საქართველოს სსრ უმაღლესი სამჭოს პრეზიდიუმმა განიხილა მისი თხოვნა-განცხადება და შეუფიარა სასჯელის ვადა, მოსახდელად დაუტოვა მხოლოდ 2 წელი გადასახლება.

მონანიება

შეცდომა ვის არ მოსვლია, თუმცა შეცდომაც არის და შეცდომაც, მაგრამ მაინც შეიძლება შეუნდო კაცს შეცოდებანი, თუ მით უმეტეს საჯაროდ მოინანიებს. ბევრმა იარწმუნა კიდეც მისი მონანიების გულწრფელობა, რადგანაც მ ოვის გადასახლების შემდეგ მან ცენტრალური ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამაში „ვრემია“ დაგმო თავისი „ნამოღვაწარი“ და პატიკი ითხოვა. თუმცა უმჯობესია თავად მას მოვუსმინოთ, გავეცნოთ მის **მეორე თხოვნა-განცხადებას პატიების შესახებ, რომელიც მან საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გაუგზავნა.**

„ამჟამად ცხრა თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მე გადასასლებაში ვიმყოფები. მე მომეცა საშუალება ჩემს თავთან მარტო დავრჩენილიყავ და კიდევ უფრო ღრმად გამეანალიზებინა ჩემი წარსული, კიდევ უფრო ნათლად დამენახა, თუ რა მედგარ გზას ვადევენ, როდესაც ვავრცელებდი საბჭოთა სახელმწიფოსადმი მტრულ ლიტერატურას, დავინახე მთელი ის ზნანი, რომელიც მე მივაყენე ჩვენს სახელმწიფოს. ჩემი მოქმედება გამოიწვია ჩემმა დეზორიენტაციამ, სიტუაციაში გაურკვევლობამ და იმან, რომ მე ცალკეულ თანამდებობის პირების უმართებულო ქმედებებს ბოლოს თვალში მას წონა არ მომატებია, პირიქით, გულიც გაუტეხა, ყველა მიხვდა, რა „ეროვნული გმირიც“ იყო. მაშ რა ღირს? იქნებ გონება გაუნათლდა წამიერად და შემდეგ ისევ დავბინდა? ძნელი დასაჯერებელია. და მაინც, რამ აიძულა იგი უარეყო „პრინციპები“, „ბრწამსი“, „ნაღვაწი“, რომელსაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი შეალია. ნუთუ გადასახლებაში ზ თვის ცხოვრების სიძნელე? განა „რწმენისთვის“, „სამშობლოსათვის“, „ეროსთვის“ ვერ აიტანდა დარჩენილ წელიწადსა და სამ თვეს, მით უმეტეს, რომ გადასასლებაში დიდი გაჭირვება არ დასდგომია. და ისეც რომ ყოფილიყო, „ეროსთვის“ ჭეშმარტად გულმოკლული და თავდადებული კაცი მაინც არ შედრკებოდა, მასავით ფარ-ხმალს არ დაყრიდა, სიმხდალე არ სძლევდა, თანამდგომი თმილი საწოლისა და კომფორტულად გაწყობილი ბინისათვის არ ულალტებდა. თანაც, როგორ დავიჯეროთ, რომ იგი, დიდი კონსტანტინეს შვილი, უფრო მკაცრ პირობებში იქნებოდა, ვიდრე მერაბ კოსტავა და სხვა მისი თანამოაზრეები? არა ბგვონია. საქმე ის არის, რომ მან წყალში ფეხის დაუსველებლად მოინდომა „სახელისა და დიდების მოხვეჭა“, „ამრისა და ერისაგის“, თანამდეროვე ენაზე — „ლიდერის“ როლის მეპრეტენა. ეა, გასაღები ერთი შეხედვით მრავალეუნთნიანი განტოლებისა, რომელიც სინამდვილეში უმარტივესია, თუ კარგად დაუკვირდებით „მერის“ ბუნებას.

ჯიდან დანახული ცა ანუ ერთადერთი თვალხილული ბრძოლის ველებისა

ჩინური ანდაზაა: ვინც ცას ჭიდან უყურებს, ცოტას ხედავსო. ადრეც აღვნიშნეთ და კვლავ გავიმეორებთ, ზვიად გამსახურდია ალი განკურნების გარანტიას არ იძლევიან. დიაგნოზი გაურკვეველია, უარი მთხრეს უცხოეთში გამგზავრების უფლების მოცემაზე, ეთხოვეთ ჩარეკვასა და თანადგომას უფლების მოპოვებაში“.

რა საინტერესოა, დიაგნოზი ჯერ ცნობილი არ არის და მაინც ჩვენი ექიმები მისი სრული განკურნების გარანტიას არ იძლევიან თურმე. ალბათ, ეროვნული ფარ-ხმალი ... ... „ბრმამთა კვეყანაში ცხოვრობდა ერთი თვალხილული ექიმი, რომელმაც იცოდა ბრმათა მკურნალობა. ნაცვლად იმისა, რომ მისთვის კლინიკა მიეცა, იგი შინ ჰყავდათ დამწყვდეული და არ აძლევდნენ უფლებას ხალხში გასულიყო და უსინათლოთათვის ემკურნალა, ვინაიდან ამ ქვეყნის ხელმწიფეს და დიდებულნი არწმუნებენენ ხალხს: „ოქვენ თვალხილულნი ხართ, ხოლო ის ერთი მეტჩარა, რომელიც ვითომდაც თვალის ახელას გპირდებთ, თავად არის ერთადერთი ბრმა ჩვენს სამეფოში და სახლშიც იმის გამო გვყავს დამწყვდეული, რომ თვალხილულები არ დაგვიბრმოს და გარდა ამისა თავად არ გადაიჩეხოს სადმე და არ დამაგიროს“. ახლა ხომ დარწმუნდით, რომ ერთადერთ თვალხილულ და სხვათა მკურნალად მხოლოდ თავის თავს თვლის, სხვას კი, მათ შორის თავის თანამოაზრეებსაც, ბრმებად. რა არის ეს, თუ არა ზვიადობა, რომელიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით არის „ეგოიზმად“, ქედმაღლობა, ამპარტავნობა, დიდგულობა“.

ვინაც აღიმაღლოს თავი თვისი, ის დამდაბლდეს!

ახლა კი დროა პორტრეტის დასრულებისა, თუმცა კიდევ ერთი მტრიხია გასაკეთები მისი პირადი ხასიათის გამოსაკვეთად.

ბევრმა შეიძლება არ იფოდეს, რომ ზვიად გამსახურდიას ერთ დროს სურვილი აღეძრა მოედლად კურთხევინა, რათა შემდგ ო მ მოგდელმთავრობა მიეღო, მაგრამ მის ასეთ ზრახვას წინ აღუდგა კათალიკოს-პატრიარქი ილია II და არაფო მოვდლად არ აკურთხა, მკაცრად და კატეგორიულად აუარძალა ეკლესიებში აქტიურობა და ურთიერთობა მოვდელმსახურებთან და მრევლთან. ზ. გამსახურდიამ ეს წყენა ვერაფრით ვერ მოინელა და მას შემდეგ წერილს წერილზე სწერდა, ათასევარ ცილს სწამებდა ქართული ეკლესიის მესვეურთ.

ზოგმა შესაძლოა ისიც არ იცოდეს, რომ იგი გაუთავებლად დაგოს მამამისის ყოფილ მძღოლთან გ. წოწორიასთან და საკუთარ დასთან. აკი სასამართლოშიდეც მივიდა საქმე, სადაც განაცხადა: ნათელა კონსტანტინეს ასულ გამსახურდიას მამის მეშკვიდრეობიდან არაგითარი წილი არ ეკუთვნისო (?!), შემდეგ კი ისიც განაცხადა — მე მას ჩემს დად არ ვცნობო(!!).

რამდენიმე წელია, სად არ ჩავის, სასლის უფასო რემონში გამოკეთეთო, კომუნალური გადასახადისაგან გამანთავისუფლეთო, მამაჩემის ადრე გამოცემული წიგნებიდან დამატებით მომეცით პორორარი, „წინაადმდეგ შემთხვევაში მივმართავ უკიდურეს ზომებს“ (ამ სიტყვებით ამთავრებს იგი თითქმის ყველა საჩივარსა და განცხადებას).

არა ზვიად გამსახურდიას მუქარის შიშით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დიდსულოვნების, მისი მამისადმი საზოგადოების უღრმესი პატივისცემის წყალობით:

— თბილისის საქალაქო სასჯელს 1986 წლის 26 ივნისის № 928 გადაწყვეტილით ჩამოწერილ იქნა, როგორც გამონაკლისი, მოქალაქე ზ. გამსახურდიაზე რიცხული კომუნალური გადასახადები 555 მანეთისა და 70 კაპიკის ოდენობით.

— ზ. გამსახურდიას, როგორც გამონაკლისი, მიეცა კ. გამსახურდიას ბიბლიოთეკიდან ოჯახებისა 18 ათასი მანეთი პონორარი.

— ზ. გამსახურდიას კერძო სასლს სახელმწიფო ორგანიზაციები არემონტებენ და ამ რემონტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 165.000 მანეთია.

და კიდევ ერთი მაგალითი.

მოისურვა და ორივე შვილი გასული წლის სექტემბრიდან სკოლიდან გამოიყვანა და დღემდე სახლში ჰყავს გამოკეტილი. თურმე ნუ იტყვით: „მასწავლებლები ეწევიან ჩვენი შვილების დისკრიმინაციასა და დევნას“... „თანასწორულებს უკრძალავენ მათთან ლაპარაკს, მათ წინააღმდეგ ამხედრებენ სხვა მოსწავლეებს და მშობლებს, რომლებიც მათ კოლექტიურ თავდასხმებსა და ჩხუბს უმართავენ“.

სინამდვილეში კი, როდა 1985 წელს მისი უფროსი ვაჟი, მესამეკლასელი ცოტნე ავად გახდა, მწოლიარე ავადმყოფს შინ ამეგებინებდა კლასის ხელმძღვანელი. პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით გადაიყვანეს იგი IV კლასში. მომდევნო წელს ცოტნეს უკვე სამი მასწავლებელი აკითხავდა სახლში და კ ქართულ ენაში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში ამზადებდნენ. ასე გადავიდა ცოდნე მეზუთე, შემდეგ მეექვსე კლასში. შარშან კვლავ დაიწერა ბრძანება ბინაზე მეგადინეობის შესახებ, მაგრამ მშობლებმა მასწავლებლები არათუ ცოტნეს ალარ გააკარეს, უმეტოსი შვილი გიორგიც სკოლიდან გამოიყვანეს და ახლა იმას ჩიკინან ,სკოლა ბავშვებს ბინაზე ეძახენ ,ბავშვებს ეკარგებიან. რამდენჯერ არ ეახლენენ, რამდენჯერ არ სთხოვეს სკოლას ბავშვებს ნუ მოწყვეტავთო, არაფერმა არ გაჭრა, ყველას კატეგორიულად უცხადებდნენენ: ჩვენს შვილებს უსწავლელს არ დავტოვებთ, თქვენი ატესტატი ჩვენ არ გვჭირდებიან.

ესეც, ალბათ, კიდევ ერთი საბაბია სამინისოდ, რომ „ხმა აღიმაღლოს“ და „ხმებს“ სალაყბო მასალა არ მოაკლოს.

და ბოლოს, დასკვნის მაგვარად გვინდა დიდ ილიას მოვუხმოთ:

„აკი მოგახსენეთ, ჩვენში მისთანები არიან, რომ სახელად მიაჩნიათ გამოვიდნენ და იყვირონ — დღისით დღე არ არის და ღამით ღამეო. თითოს მარტო იმისთვის, რომ ბალღებს მოაწონონ თავი და ტაშის ცემით აოქმეკინონ: აი უარმყოფელი და, მაშასადამე, ბრძენი, მეოდნე, ლიბერალი“.

დემურ იოსელიანი.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

კინო

მხარი მხარს — ქალბატონებო!

თბილისში გუშინ დაიწყო და 4 მარტამდე გასტანს კინემატოგრაფიის ქალთა საერთაშორისო ასოციაციის დამფუძნებელი კონგრესი. ამის გამო „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრა ამ ასოციაციის პრეზიდენტი, ცნობილი ქართველი კინორეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ლანა ღოღობერიძე:**

კინემატოგრაფისტ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის დაარსების აუცილებლობა, — თქვა ლ. ღოღობერიძემ, — ეტყოდა, დრომ მოიტანა. ეს პირველად მოსკოვის მსოფლიო კინოფესტივალზე ითქვა, და ყველამ ისე აიტაცა ნათქვამი, რომ ბევრი აღარ დაუფიქრებიათ — შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც, როგორც იცით, ასოციაციის პრეზიდენტად მე ამირჩია. პატივი დამდვა ამითაც, რომ გადაწყდა პირველი, დამფუძნებელი კონგრესი საქართველოში, ქორაოდ, თბილისში გამართულიყო. და აი, ჩვენთან უკვე სტუმრად არიან მსოფლიოს ყველა განვითარებული კინემატოგრაფიული ქვეყნის — ამერიკის მეერთეულ შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, სოციალისტური ქვეყნების, რაღა თქმა უნდა, ჩვენი მოკავშირე რესპუბლიკების ცნობილი რეჟისორები, კინომსახიობები, კინოკრიტიკოსები, ჟურნალისტები, პროდიუსერები...

კონგრესი, თუ შეიძლება ითქვას, გაიფორმების ასოციაციის ოფიციალურ. არსებობას, შეიმუშავებს ასოციაციის წესდებას, რომელიც, უსრულველსად, კინემატოგრაფისტ ქალთა გაენთას და დაახლოებას ითვალისწინებს. ჩემი აზრით ასოციაციას ბევრი კეთილი საქმის გაკეთება შეუძლია. რა დასამალია და, ქალ კინემატოგრაფისტებს უმრავლეს ქვეყანაში მაინც უჭირთ მუშაობა. ამდენად, ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ ერთმანეთს, გავლენა კი ვიქონიოთ საზოგადოებრივობაზე. რამდენადაც ვიცი, ჩვენი ასოციაცია იუნესკოს წერი უნდა გამდეს, ეს კი, ცხადია, გაზრდის მის ავტორიტეტს.

რახან კონგრესი თბილისში იმართება, გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და ჩვენს სტუმრებს კინემატოგრაფისტ ქალებს გავაცნოთ ქართველი კინორეჟისორი ქალების თითო ნამუშევარი, მივიწვიოთ ისინი ელენე ახვლediანის სახლ-მუზეუმში, ნინო რამიშვილთან, ანუ ხალხური ცეკვის ანსამბლის კონცერტზე და სხვა.

ასოციაციის კონგრესი ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა გაიმართოს. ამ პერიოდში კი, რა თქმა უნდა, ერთმანეთს შეეხვდებით ხოლმე კინოფესტივალებზე ან საგანგებოდ. გვექნება ბევრი საშუალება, რომ ახლოს გავიცნოთ ერთმანეთის შემოქმედება. ერთად მივხედოთ თანამედროვე მსოფლიოს, „ქალთა“ კინემატოგრაფის საჭირბოროტო პრობლემებს.

უთამგეძლავი გაძარჯვება

ერთი ტურით ადრე ოლიმპიურ ოქროს მედლებს დაეუფლნენ საბჭოთა ჰოკეისტები. ეს მოხდა ამ შემდეგ, როცა მათ დამაჯერებელი ანგარიშით 7:1 დაამარცხეს მსოფლიო ჩემპიონები — შვედები. ამ დღის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ჩეხოსლოვაკია-ფინეთი — 5:2, კანადა-გფრ. — 8:1. ბოლო ტურის წინ გუნდების ოლიმპიური ანგარიში მდგომარეობა ასეთია: სსრ კავშორი — 8 ქულა, ფინეთი — 5, შვეცია — 4, კანადა — 3, გფრ და ჩეხოსლოვაკია — 2-2.

კალგარის ზამთრის ოლიმპიადაზე საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ერთი შთამბეჭდავი გამარჯვება იზეიმეს: კეხმორში გამართულ ბიატლონისტთა ესტაფეტაში (4X7,5 კმ) დიმიტრი ვასილევმა, სერგი ჩეპაკოვმა, ალექსანდრე პოპოვმა და ვალერი მედვედევმა მთელი დისტანციის გავლას 1 საათი 22 წუთი და 30 წამი მოანდომეს, მნიშვნელოვნად გაუსწრეს მეტოქეებს და ოქროს მედლებს დაეუფლნენ. ვერცხლის მედლები წილად ხვდათ გფრ-ის სპორტსმენებს (ერსტე რაიტერი, სტეფან ჰეკი, პეტერ ანგერერი და ფრიდრიხ ფიშერი) — 1:23.37,4. მესამე სპარიზო ადგილებზე გამოვიდნენ იტალიელები (ვერნერ კეიმი, გოტლიბ ტაშლერი, იოჰან პასლერი და ანდრეას ცინგერლე) — 1:23.51,5.

1000 მეტრზე ქალთა შორის ეიგურებთან რბენაში უძლიერესი იყო გდრ-ის წარმომადგენელი კრისტა როტნბურგერი — 1.17,65 (მსოფლიო რეკორდი). ვერცხლის მედალს დაეუფლა მისი თანამემამულე კარინ კანია — 1.17,70. ბრინჯაოს მედალი გადაეცა ბონი ბლეირს (აშშ) — 1.18,31. საბჭოთა მოეიგურავეები ელენე ილინა და ნატალია შავე შესაბამისად მეოთხრამეტე და მეოცე ადგილზე გამოვიდნენ (1.22,40 და 1.22,99).

ქალთა ზორის სპეციალურ სლალომში ყველას აჯობა შვეიცარიელმა ფრენი შნაიდერმა — 1.36,69 (48,81—47,88). მეორე ადგილზე გამოვიდა მატეი სვეტი (იუგოსლავია) — 1.38,37 49,21—49,16), მესამეზე — კრისტი კინშეკერ-ბუტლანინ (გფრ)—1,38,40 (49,84 — 48,56).

მეტოქეები დაწყვილდნენ

კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის კიდევ ერთი ნახევარფინალური მატჩი უნდა გამართულიყო და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვეოდა, ვინ რომელი ადგილისთვის განაგრძობდა ბრძოლას. და აი, ერუანსში მოეწყო ადგილობრივი „ელგერისისა“ და კიევის „სტროიტელის“ შესაბამ დამატებითი მატჩი. შეხვედრა მიიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 87:85 (47:37) და ახლა „ელგერისი“ და ცსკა იასპარეზებენ სუპერფინალში. რაც შეეხება კიევის „სტროიტელსა“ და თბილისის დინამოს“, ისინი შესაბამ ადგილისთვის განაგრძობენ ბრძოლას. დასკვნითი ეტაპის პირველი მატჩები გაიმართება კაუნასსა და თბილისში 3 მარტს, განმეორებითი — მოსკოვსა და კიევში 5 მარტს. თუ საჭირო გახდა, 6 მარტს ამავე ქალაქებში მოეწყობა დამატებითი შეხვედრები.

რედაქტორი
ნ. შოშუნაძე.

სპორტი

უთამგეძლავი გაძარჯვება

ერთი ტურით ადრე ოლიმპიურ ოქროს მედლებს დაეუფლნენ საბჭოთა ჰოკეისტები. ეს მოხდა მა შემდეგ, როცა მათ დამაჯერებელი ანგარიშით 7:1 დაამარცხეს მსოფლიო ჩემპიონები — შვედები. ამ დღის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ჩეხოსლოვაკია-ფინეთი — 5:2, კანადა-გფრ. — 8:1. ბოლო ტურის წინ გუნდების ოლიმპიური ანგარიში მდგომარეობა ასეთია: სსრ კავშორი — 8 ქულა, ფინეთი — 5, შვეცია — 4, კანადა — 3, გფრ და ჩეხოსლოვაკია — 2-2.

კალგარის ზამთრის ოლიმპიადაზე საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ერთი შთამბეჭდავი გამარჯვება იზეიმეს: კეხმორში გამართულ ბიატლონისტთა ესტაფეტაში (4X7,5 კმ) დიმიტრი ვასილევმა, სერგი ჩეპაკოვმა, ალექსანდრე პოპოვმა და ვალერი მედვედევმა მთელი დისტანციის გავლას 1 საათი 22 წუთი და 30 წამი მოანდომეს, მნიშვნელოვნად გაუსწრეს მეტოქეებს და ოქროს მედლებს დაეუფლნენ. ვერცხლის მედლები ჩეხეთ ბედან გფრ-ის სპორტსმენებს (ერსტე რაიტერი, სტეფან ჰეკი, პეტერ ანგერერი და ფრიდრიხ ფიშერი) — 1:23.37,4. მესამე სპარიზო ადგილებზე გამოვიდნენ იტალიელები (ვერნერ კეიმი, გოტლიბ ტაშლერი, იოჰან პასლერი და ანდრეას ცინგერლე) — 1:23.51,5.

1000 მეტრზე ქალთა შორის ეიგურებთან რბენაში უძლიერესი იყო გდრ-ის წარმომადგენელი კრისტა როტნბურგერი — 1.17,65 (მსოფლიო რეკორდი). ვერცხლის მედალს დაეუფლა მისი თანამემამულე კარინ კანია — 1.17,70. ბრინჯაოს მედალი გადაეცა ბონი ბლეირს (აშშ) — 1.18,31. საბჭოთა მოეიგურავეები ელენე ილინა და ნატალია შავე შესაბამისად მეთოთხრამეტე და მეოცე ადგილზე გამოვიდნენ (1.22,40 და 1.22,99).

ქალთა ზორის სპეციალურ სლალომში ყველას აჯობა შვეიცარიელმა ფრენი შნაიდერმა — 1.36,69 (48,81—47,88). მეორე ადგილზე გამოვიდა მატეი სვეტი (იუგოსლავია) — 1.38,37 49,21—49,16), მესამეზე — კრისტი კინშეკერ-ბუტლანინ (გფრ)—1,38,40 (49,84 — 48,56).

მეტოქეები დაწყვილდნენ

კალათბურთელ ვაჟთ